საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია.

ხუთშაბათი, 8 მაისი 1919 წ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ერთობა

ფასი 1 მან.

[illegible] 1 თვით 25 [illegible] ცალკე ნომერი [illegible] 1 მან. განცხადებების ფასი: [illegible] — 2 მან. [illegible] 80 [illegible]. [illegible] 12 ს. [illegible]

[illegible] № 100 [illegible] „ერთობის" [illegible]

ტელეფონი 18—42.

№ 99 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 99

[illegible] ნოე და ისა, [illegible] და [illegible] ნათესავებს და ნაცნობებს, რომ [illegible], ამ 8 თვეს [illegible] წირვა და პანაშვიდი [illegible] სასაფლაოზე

ანდრეიკა ჟორდანიასი

[illegible] (2—1)

[illegible] ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 1919 წ. 7 მაისს [illegible] გარდაიცვალა [illegible] ძმა

ალექსანდრე პავლეს ძე გოგერის

რომლის [illegible] 11 მაისს [illegible] წმინდა [illegible]

პარასკევს, მაისის 9-ს სახელმწიფო თეატრში

მესხეთ-ჯავახეთის დამხმარე კომიტეტი

მართავს წარმოდგენას მესხეთ-ჯავახეთის მცხოვრებთა სასარგებლოდ. წარმოდგენილი იქნება [illegible]:

„თქმულება შოთა რუსთაველზე"

[illegible] (2—1)

ქართ. სამუსიკო და საქველმოქმედო საზ-ბა

სახელმწიფო თეატრში

პარასკევს, 16 მაისს გაიმართება:

სასულიერო კონცერტი

ახალი ლიტურგია

მუსიკა დ. არაყიშვილისა. (3—1)

ადმინისტრაციის მოუწყობლობა

დამფუძნებელი კრებამ სამშაბათის სხდომაზე მოისმინა [illegible] შეკითხვის განხილვას შემდეგ: ეს გახლავთ შეკითხვა მ. ალეუშვილის და მისი თანამოაზრეების თავისუფლად მოქმედების შესახებ ქუთაისის და ლეჩხუმის მაზრებში.

შეკითხვის საგანი თავისთავად ახალი არ არის: სამწუხაროდ, ერთგვარი ნორმალური მოვლენათ გადაიქცა ადმინისტრაციის უკანონო მოქმედება. ხშირათ ხდება, რომ ადმინისტრაცია დაკისრებულ მოვალეობის ასრულების დროს [illegible] ეკონომიურ და ზნეობრივ ზიანს აყენებს მცხოვრებლებს.

ამ უკანასკნელ დროს, საქართველოს პარლამენტის კანონის თანახმად, ადმინისტრაციის ადგილობრივ მოწყობა დაეკისრა ხალხით არჩეულ ერობებს, მაგრამ ამ უკანასკნელთ ჯერ კიდევ არ მოეპოვებათ საკმაოთ გაწვრთნილი ძალა, არ აქვთ შესაფერი აპარატი. და ამიტომ ხალხის სამართლის [illegible] იცით მარტივ და შედარებით ადვილ საქმის გაკეთება, როგორიც არის ამა თუ იმ ყაჩაღის ალაგმვა.

სამწუხაროდ, ალეუშვილის და მის აგენტების მოქმედებამ ყოველივე საზღვარს გადააჭარბა და ის სურათი, რომელიც შეკითხვის ავტორმა [illegible] დაგვიხატა შინაგან საქმეთა მინისტრის [illegible] განმარტების შემდეგ, [illegible] სამინისტროსთან შედარებით: [illegible] ალეუშვილის მოქმედებამ ჩვენ მოგვაგონა [illegible], როცა თვითმპყრობელ მთავრობის აგენტები თავად-აზნაურობასთან შეთანხმებულები არბევდნენ და აწიოკებდნენ დაბეჩავებულ გლეხობას. ეს საშინელი სურათი თვითნებობის და ძალმომრეობისა არა მარტო აღშფოთებას იწვევს ჩვენში, ეს შეიძლება ამტკიცებს, რომ ცენტრალურ მთავრობის დადგენილებები გადაქცეულ გადადის ხალხში მთავრობის ყველას აგენტების მეოხებით და დემოკრატიულ რესპუბლიკას სახელს უტეხავს.

ამიტომ ჩვენ სრულის კმაყოფილებით შევხვდით მინისტრის განცხადებას, რომელმაც გვაცნობა, რომ ალეუშვილის თანამშრომლები დაპატიმრებული არიან და რომ თვით ალეუშვილი ადგილიდან გადაყენებულია და მისი დატუსაღების ბრძანება გაცემულია.

ეს დატუსაღება ალეუშვილის მოქმედების სწორი დაფასებაა და ამ შემთხვევაში სამინისტრო გაუკეთებია ის, რაც უნდა გაეკეთებინა, რის უფლება და მოვალეობა მას ჰქონდა.

მაგრამ ეს საკმარისი არ არის. საერთოდ ამგვარ მოვლენებთან საბრძოლველად. საჭიროა არა თუ დასჯა დამნაშავე ადმინისტრაციის და მოხელეების მოქმედებისა, არამედ ისეთი აპარატის შექმნა, ისეთი ადმინისტრაციის გამართვა ამ აპარატში, რომ შეუძლებელი გახდეს ალეუშვილის ისტორიის განმეორება. და ამ მიზნით უნდა მიღებულ იქნეს საგანგებო ზომები.

დამფუძნებელი კრება უნდა ჩაერიოს ადმინისტრაციის გაუკუღმართების საქმეში, სულ ერთია ცენტრის ხელში იქნება ეს ადმინისტრაცია, თუ ადგილობრივ თვითმმართველობის, და ყველგან შეეცდება მასში შეიტანოს სული პრინციპი ადამიანის და ხალხის ღირსების პატივისცემისა, მოქალაქესთან უფრო სისტემატიურად მოპყრობის, როგორიც თავის წიგნში, ასე საზოგადოების ნაძირალებში.

გაკვრით

გახსოვთ რა განგაში ასტეხა სოციალ-ნაციონალისტურმა პრესამ იმ ნაწილობრივი ნაციონალიზაციის წინადადებაზე, რომელიც მიიღო ჩვენში, და რომელიც შექმნილ პირობებში სრულიად ბუნებრივი იყო? მაშინ ეს წმინდა წყლის ნაციონალისტები ინტერნაციონალის მანტიაში გახვევნ და მისი სახელით წიხლს გვკრავდნენ. სრულიად მოულოდნელი პროტესტი შეისმინა [illegible] მთავრობამ და მის მომხრეებმა [illegible] ქართველი სოციალ-დემოკრატიის ავტორებს. ჩვენ ვეცდებით თუ რა მიზეზის გამო ჰქონდათ ამ ახალ მოულოდნელ სოციალისტებს; ჩვენ ვიცოდით თუ რა ტლანქი ინტერესი იმალებოდა მათ მიერ გამოთქმული მაღალ იდეების სამოსელში. მაგრამ მაინც გვეგონა, რომ მათ ამ შემთხვევაში ამოძრავებდა არა ალყიოდების საკითხი, არამედ უფრო მაღალი მოსაზრებანი.

გავიდა დრო. ბევრი რამეს შემდეგ სომხეთში იქნა თავის დამოუკიდებლობა და დაიწყო იმით, რაც მის სხვებში არ მოიწონდა. დაიწყო ნაციონალიზაციით. მარა დაიწყო ისე ტლანქათ და უხეშათ, რომ პირდაპირ ბარბაროსული ხასიათი და ფორმა მიიღო. ამისათვის ცალკე კომიტეტიც დაარსდა, რომელიც შემდეგი მოწოდებით მიმართავს მცხოვრებთ:—მოითხოვეთ, რომ ყველგან შემოღებულ იქნას სახელმწიფო ენა. გადაჰყევით საპოლიციო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან ყველა, ვინც არ იცის სამხედრო ენა. არ მაცდილა, უკან დაუბრუნდეთ ყველა ის ქმედებები, რომელიც არის დაწერილი სხვადასხვა ენაზე. არ შეხვედრით აქეთ მაღაზიებში, რომელშიაც წარწერა სხვა ენაზე, და სხვა და სხვა...

აქეთ შეუწყნარებელი ცეროთი და სტილით [illegible] ნაციონალიზაციის გატარება თავის რეჟიმებაში.

საინტერესოა, რას იტყვიან ახლა ის ხალხის შოვინისტები, რომლებიც ასე გამწარებით იბრძოდნენ ჩვენი წინადადების ნაციონალიზაციის წინააღმდეგ, და ასეც ინტერნაციონალის სახელით!

განი.

სოციალისტურ ინტერნაციონალში

გაზეთ „ტაიმს"-ის 2 აპრილის ნომერში მოთავსებულია შემდეგი ცნობა:

„ბერნის მუშათა ინტერნაციონალური და სოციალისტური კონფერენციის აღმასრულებელ კომიტეტს ჰქონდა პარიზში 2 სხდომა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო აგრეთვე განსაკუთრებულმა სოციალისტურმა კომისიამ, რომელსაც დავალებული ჰქონდა [illegible], რათა შესრულებული ყოფილიყო ბერნის კონფერენციის მიერ გამოტანილი რეზოლუციები.

კრებას დაესწრნენ ბრანტინგი, გიუისმანსი, ჰენდერსონი, ბოუერი, რომზერი, მაკდონალდი, ლონგე და რენოდელი. დადგენილ იქნა 26 აპრილს მოწვეულ იქნას ამსტერდამში კრება ბერნის მთავარ კომისიისა, რომელიც გაარჩევს და განიხილავს იმ კითხვებს, რომლებიც ბერნის კონფერენციას გადაუწყვეტელი დარჩა. კერძოდ განხილულ იქნება ტერიტორიალური საკითხები. ამსტერდამის კონფერენცია განიხილავს აგრეთვე იმ მემორანდუმს, რომელიც შეადგენს წინასწარი ზავის შეკრების გამო.

კონფერენცია აგრეთვე თავის აზრს გამოთქვამს მოსკოვში დაარსებულ კომუნისტურ ინტერნაციონალის შესახებ. შეტანილ იქნება წინადადება, რომ [illegible] მოწვეულ იქნეს სოციალისტური კონგრესი, რომელიც განიხილავს შემდეგ კითხვებს: მუშათა ინტერნაციონალის აღდგენა, საკითხი დემოკრატიის შესახებ, დიქტატურა, მილიტარიზმი და ეკონომიური კითხვები.

იმავე ცნობაში შემდეგ ნათქვამია:

„ბერნის საერთაშორისო კონფერენციის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა პირველი მაისისათვის გამოუშვას მანიფესტი. მან აცნობა ხალხთა ლიგის პროექტის შემმუშავებელ კომისიის თავმჯდომარეს რობერტ სესილს იმ ზოგიერთ ცვლილებებზე, რომლებიც სოციალისტებს სურდათ შეეტანათ ამ პროექტში, და ბოლოს მან პროტესტი განაცხადა, რომ უარი უთხრეს პასპორტების მიცემაზე იმ სოციალისტ დელეგატებს, რომლებსაც მინდობილი ჰქონდათ რუსეთში ანკეტის წარმოება. კომიტეტი არჩევდა კითხვას რამოდენიმე დელეგატის დასაბრუნებლად, რომლებსაც მინდობილი აქვთ სხვადასხვა ქვეყნებში წასვლა, კერძოდ საქართველოში, რომ [illegible] მუშათა კლასის ერთობა".

უკანასკნელი ცნობები

ფოთი. მაისის 6. ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ხოფერია. განახლდა [illegible] რიონზე [illegible]. მალე [illegible] დაიწყება [illegible]. განახლებულია [illegible] ფოთში [illegible] ჯარისკაცი [illegible]. როგორიც წინასწარი გამოძიებიდან [illegible], მათ ჰქონდათ [illegible] ორგანიზაცია. გამოძიება გრძელდება. (საქ. დეპ. სააგ.)

დამფუძნებელი კრება

6 მაისის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

თავმჯდომარემ მოკლე სიტყვაში დაახასიათა გარდაცვალებული რაფაელ ჩიხლაძე. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას და დაავალა პრეზიდიუმს სამძიმრის დეპეშა გაუგზავნოს განსვენებულის ოჯახს. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა [illegible] ერთი ოლქი? [illegible] გვარდიის [illegible].

მდივანი გ. ნათაძე კითხულობს [illegible] წარმომადგენლობის დეპეშას; [illegible] დამფუძნებელ კრებას ამ რაიონის საქართველოსთან შეერთების და მფარველობის გამო. [illegible] რაიონის მცხოვრებთა [illegible], რომლებიც თხოულობენ საქართველოს საზღვრებში დატოვებას.

თავმჯდომარე ცნობისათვის მოახსენებს კრებას, რომ რეგლამენტის ძალით პრეზიდიუმმა სხდომის დღეებათ დანიშნა სამშაბათი და პარასკევი.

დღევანდელი კრების დღის წესრიგი ასეთია:

1) პროექტი დადგენილებისა—დამფუძნებელი კრების წევრების კომისიისთვის 100,000 მან. გადაცემის შესახებ.

2) პროექტი დეკრეტისა—დამფუძნებელი კრების წევრთა იმუნიტეტისა (შეუვალობისა).

3) კანონპროექტი—ხაზინის შემოსავლის გაძლიერებულ ზოგიერთი ზომების შესახებ.

4) ერთიანი დემოკრატიული ფრაქციის წინადადება — საგარეო საქმეთა კომისიის არჩევის შესახებ.

5) სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციის შინაგან საქმეთა მინისტრისადმი შეკითხვა—ქუთაისის სახალხო სამართლის მოსამართლის [illegible] შესახებ.

6) საბიუჯეტო კონტროლის არჩევა.

7) ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის შეკითხვა მთავრობის სახელმძღვანელოს პოლიტიკის თავმჯდომარის მდივანის დათხოვნის შესახებ.

8) შეკითხვა ძველი [illegible] 12 წლის კატორღით შეცვლის შესახებ და

9) შეკითხვა მათ სასჯელისაგან განთავისუფლების შესახებ.

გ. ქიქოძის მოხსენებით კრებამ მიიღო პროექტი დადგენილებისა—დამფუძნებელი კრების [illegible] კომისიისათვის 100 000 მანეთის გადაცემის შესახებ 26 მაისის საქართველოს ერთი წლის დამოუკიდებლობის დღესასწაულის მოსაწყობად.

პროექტი დეკრეტისა — დამფუძნებელი კრების წევრთა იმუნიტეტისა (შეუვალობის).

მომხსენებელი რ. არსენიძე: პროექტის ძალით დეპუტატი არის გამოცხადებული ჩვეულებრივ მოქალაქეთაგან თავისი ხელშეუხებლობის მხრით. ამას აქვს პოლიტიკური მნიშვნელობა: დეპუტატი კანონმდებელია, ის არჩეულია ხალხის მიერ და ამიტომ ერთგვარი პატივისცემით უნდა სარგებლობდეს. დამფუძნებელ კრებას ჩვენ ვუყურებთ, როგორც უზენაეს უფლებით აღჭურვილ კრებულს, აქედან ცხადია, რომ თითეულ მის წევრს უნდა ჰქონდეს თავისუფლება თავის მოვალეობის ასრულების დროს. ჩვენში ჯერ კიდევ არ დამთავრებულა [illegible] შფოთვა და დღეები. არ არის ჩამოყალიბებული დემოკრატიული გარანტიები [illegible]. ჩვენ ძალიან დაშორებულნი ვართ ყოველნაირ სახელმწიფოებრივ ფორმებს. დამფუძნებელი კრება კი უნდა იდგეს გარეშე ამ დღეებისა და შფოთებისა, ის უნდა იყოს ხელშეუხებელი. დამფუძნებელი კრების წევრს არ შეიძლება პასუხი მოეთხოვოს იმ აზრებისა და სიტყვებისათვის, რომლებსაც ის წარმოთქვამს ტრიბუნიდან თავის მოვალეობის ასრულების დროს. ის [illegible] რეგლამენტს, მისი პასუხისგებაში მიცემა არავის არ შეუძლია; მხოლოდ პრეზიდიუმს შეუძლია [illegible] წესით რეგლამენტის ფარგლებში დასაჯოს ის.

სრულიად სხვა საქმეა, როცა დეპუტატი სადმე მიტინგზე ლაპარაკობს, სადაც ის თავის მოვალეობის ასრულების გარეშეა, აქ მისი მოქმედება კანონის შეუფერებლათ ჩაითვლება, როგორიც ჩვეულებრივ მოქალაქის მოქმედება. მაგრამ ამ შემთხვევაშიაც, თუ დამფუძნებელი კრების წევრი დანაშაულს ჩაიდენს და ის გასამართლებულ უნდა იქნას, მისი დაპატიმრება განხორციელებულ უნდა იქნას [illegible]. [illegible] დამფუძნებელი კრების ნებართვა.

შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ არ შეიძლება დეპუტატის პირადათ განჩხრეკა, მისი ბინა ხელშეუხებელია და მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით და დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის ნებართვით შეიძლება მისი განჩხრეკა. რაც შეეხება დატუსაღებას, ამის ნება არავის აქვს, გარდა თვით დამფუძნებელი კრებისა. მხოლოდ ერთი გამონაკლისია დაშვებული: დამფუძ. კრების წევრი შეიძლება დატუსაღებულ იქნას მაშინ, თუ მას მოუსწრეს დანაშაულის დროს. მთავარი აზრი წარმოდგენილი პროექტისა შემდეგში მდგომარეობს: მოქმედება დამფუძნებელი კრების წევრისა თავის მოვალეობის ასრულების დროს თავისუფალია ყოველგვარ პასუხისმგებლობისაგან.

პროექტი შეიცავს შემდეგ მუხლებს:

1) დამფუძნებელ კრების წევრი ხელშეუხებელია.

2) არ შეიძლება მისი პასუხისგებაში მიცემა იმ აზრისა და შეხედულებისათვის, რომელსაც იგი სიტყვით, ხმის მიცემით, ან სხვა გზით გამოსთქვამს თავის მოვალეობის ასრულების დროს.

3) არც ადმინისტრაციას, არც სასამართლოს და არც სხვა უწყების მოხელეს არა აქვს უფლება დამფუძნებელ კრების წევრის პირადათ, ან მისი ნივთების განჩხრეკისა.

4) დამფუძ. კრების წევრის ბინა შეიძლება განჩხრეკილ იქნეს მხოლოდ სათანადო სასამართლოს ორგანოს დადგენილებით, ან და დამფუძნებელ კრების ნებართვით.

5) დამფუძნებელ კრების წევრის დაპატიმრება და სამართალში მიცემა შეიძლება მხოლოდ დამფუძნებელი კრების დადგენილებით.

შენიშვნა. უკეთუ დამფუძნებელი კრების წევრს დანაშაულის ჩადენის დროს მოუსწრენ—შეიძლება იგი დაპატიმრებულ იქნეს, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს კრებას.

6) კანონიერათ დაპატიმრებული დამფუძნებელ კრების წევრი უნდა დაუყოვნებლივ განთავისუფლებულ იქნეს, უკეთუ ამას დამფუძნებელი კრება დაადგენს.

7) დამფუძნებელ კრების წევრის დაპატიმრება და სამართალში მიცემა გადაწყდება დამფუძნებელი კრების სხდომაზე ხმის ორი მესამედის უმეტესობით.

8) ამ დეკრეტის დარღვევისათვის დამნაშავე დაისჯება, როგორც რესპუბლიკის უმაღლეს თანამდებობის პირის შეურაცხმყოფელი, უკეთუ მისი მოქმედებისათვის უფრო სასტიკი სასჯელი არ არის კანონით დადებული.

ი. ბარათაშვილი (ს. ფ.) არ ეთანხმება მომხსენებლის მოსაზრებას განსაზღვრაში. დამფუძნებელი კრების წევრი, სადაც არ უნდა იყოს ის—ამბიონზე თუ ტრიბუნაზე—თავის მოვალეობას ასრულებს და ამიტომ დეპუტატი ყველგან და ყოველთვის თავისუფალი უნდა იყოს თავის მოქმედებაში. ის პასუხს აგებს მხოლოდ თავის ამომრჩევლებს და პოლიტიკური პარტიის წინაშე.

მომხსენებელი უპასუხებს ბარათაშვილს და აღნიშნავს, რომ იმ პრინციპის მიღება, რომელიც ბარათაშვილმა წამოაყენა, ნიშნავს თვითნებობის დაკანონებას. ამ პრინციპის მიხედვით პასუხისგებისაგან უნდა განთავისუფლდნენ ყველა საზოგადო მოღვაწე, პოლიტიკური პარტიის წევრი. კანონი მაღლა დგას თითეული ადამიანის სურვილზე და ამიტომ არ შეიძლება მიღება ამ პრინციპისა, რომელიც ბარათაშვილმა წამოაყენა. ორატორს მოყავს საფრანგეთის კონვენტის მიერ მიღებული ამენდმენტის ერთი მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ დეპუტატი ხელშეუხებელია როდესაც ის თავის მოვალეობას ასრულებს, როგორც წარმომადგენელი.

კრება გადადის პროექტის მუხლობრივ განხილვაზე.

ი. ბარათაშვილს წინადადება შეაქვს მეორე მუხლიდან ამოიშალოს სიტყვები: „თავის მოვალეობის ასრულების დროს".

მომხსენებელი წინადადებას შეეწინააღმდეგება.

შესწორება უარყოფილ იქნა.

ი. ქავჟარაძეს ს. დ. ფრაქციის სახელით მე 4 მუხლში შეაქვს შემდეგი შესწორება: „სათანადო სასამართლოს დადგენილებით, ან და დამფუძნებელ კრების ნებართვით" უნდა შეიცვალოს ასე: სათანადო სასამართლოს დადგენილებით და დამფუძნებელი კრების ნებართვით. შესწორება მიღებულ იქნა.

სოც. დემ. ფრაქციის წინადადებით მე 5 მუხლის შენიშვნაში სიტყვებს „დანაშაულის ჩადენის დროს" დაემატა წინ სიტყვა „მძიმე".

ქ. ნინიძეს (ს. დ.) შეაქვს წინადადება, რომ მე 8 მუხლში აღინიშნოს სასჯელი, რადგანაც ჩვენ ჯერ არ გვაქვს კანონი უმაღლეს თანამდებობის პირთა დასჯის შესახებ. უნდა დაემატოს მე-8 მუხლს, რომ დამნაშავე დაისჯება 1919 წ. 31 იანვრის პარლამენტის მიერ მიღებულ კანონის მე 11 და მე-12 მუხ. ძალით. ეს წესრიგი მიღებულ იქნა.

სოც. დემ. ფრაქციის წინადადებით პროექტს დაემატა მე 9 მუხლი, რომელიც ამბობს, რომ ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მისი მიღებისა.

პროექტი აღნიშნულ შესწორებებით მთლიანად მიღებულ იქნა.

(შემდეგი იქნება).

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

7 მაისი

იტალიის პრესის ცნობები.

მკაცრი ბრძოლის შემდეგ მიუნხენში შესულ ჰოფმანის ჯარის ხელში [illegible] შეხვდა.

მილან-კურიე მოკავშირეებს გაფრთხილება, რომ თავისუფალ ტრანზიტის ნებას მისცემს და ეკონომიურ საკითხებში შეუთანხმდება მათ, თუ საომარ მოქმედებას შეწყვეტენ და დაპირდებიან, რომ უნგრეთის შინაურ საქმეებში არ ჩაერევიან.

ინგლისური პრესის ცნობები.

მიუნხენის მთავრობა მოკავშირეებს დანებდა. კომუნისტებმა სცადეს [illegible] გაქცევა, მაგრამ საზღვრებზე შეპყრობილ [illegible]. [illegible] რუმინიის, ჩეხიის, სამხრეთის [illegible] და საფრანგეთის ჯარი მოკავშირეებისაკენ წინ მიიწევს, რუმინელები უკვე ქალაქში შევიდნენ. მოკავშირეთა სტრატეგიული მდგომარეობა ხელსაყრელია, რის გამოც [illegible] წინააღმდეგობის გაწევა არ შეუძლიათ, მათი ჯარი დამარცხდა და დაირღვა.

[illegible] შეიქმნა მოკავშირეთა და გერმანიის [illegible] კომისიის სხდომა.

[illegible] რომ მთავრობა უკვე [illegible] გადავიდა. ადმირალი კოლჩაკი მალე [illegible] სადაც ერთი წლის წინეთ მეფე და მისი ოჯახი ამოხოცეს.

წითელ გვარდიასთან შემდგარი ბრძოლის შემდეგ ბავარიის მთავრობის ჯარმა მიუნხენი დაიპყრო.

მიუნხენში ჰოფმანის მთავრობამ გაიმარჯვა, თუმცა, როგორც ამბობენ, არეულობა გრძელდება.

[illegible] გვატყობინებენ [illegible] ჯარის [illegible].

[illegible] 1919 წ. მარტიდან [illegible] „შავი ზღვის ჯარი" [illegible].

ლონდონიდან იუწყებიან, რომ [illegible] ანარქისტი [illegible]. [illegible] პოლიციაში [illegible]. [illegible] „ანარქისტთა კლუბი".

უკანასკნელი პრესის ცნობები.

დაპყრობილ ოლქებში საფრანგეთის ჯარის სარდლობამ [illegible] ნება დართო იმ პირობით, თუ მათში [illegible] არ იქნება. [illegible] ეს [illegible] არ მიიღო. [illegible]

გაზ. „ერთობის" აგენტების საყურადღებოთ

„ერთობის" რედაქცია აცხადებს ქაღალდის კრიზისის გამო, დარჩენილ გაზეთებს უკან აღარ მიიღებს და წინადადებას აძლევს აგენტებს დაიკვეთონ იმდენი ცალი გაზეთი, რამდენიც უეჭველათ გასაღდება.

დღეს

მიუნხენი მთავრობის ჯარმა აიღო. სპარტაკელების ბელადი სასამართლოს დადგენილებით დახვრეტილ იქნა.

პარიზში შეიპყრეს ანარქისტი, რომელსაც განზრახული ჰქონდა კლემანსოს მოკვლა.

ბელა კუნის მთავრობა მოკავშირეებს დანებდა. რუმინელები ბუდაპეშტში შევიდნენ.

შანდუნის ნახევარ კუნძულს იაპონია ჩინეთს აძლევს; იაპონია იტოვებს იმ ეკონომიურ უპირატესობებს, რომლებიც წინად გერმანიის პრივილეგიას შეადგენდა.

სალონიკში მყოფ ინგლისის ჯარს მაისის პირველიდან ეწოდა „შავი ზღვის ჯარი".

ინგლისური პრესის ცნობით ადმ. კოლჩაკის ჯარი წინ მიიწევს. ციმბირის მთავრობა უკვე ეკატერინბურგში გადავიდა.

ბალშევიკების ცნობით სამარის ფრონტზე საბჭოთა ჯარმა სასტიკი ბრძოლის შემდეგ ზოგიერთი ქალაქები უკან დაიბრუნა.

და ბელგიის ჯარის სარდლობამ რამოდენიმე ხანია, რაც ნება დართო პერიოდულ სამეცნიერო გამოცემათა გაზიდვა.

მიუნხენში ბრძოლა გრძელდება. მძევლების დახვრეტის შესახებ ოფიციალურად იუწყებიან, რომ დახოცილთა გვამები ვერ გაარჩიეს, რადგან ძალიან დამახინჯებულია და ბევრს თავი მოჭრილი აქვს. მთავრობის ჯარის ზარალი უმნიშვნელოა, სპარტაკელების მხრით ბრძოლაში ქალებიც იღებდნენ მონაწილეობას. ლიდერები ეგელჰოფერი, მაუერი და ლანდაუერი დააპატიმრეს, მათგან პირველი დახვრიტეს. მთავრობის ჯარს მოუკლავს გენ. ნაგელი. გერმანიის სხვა ოლქებში სრული სიწყნარეა; ასეთივე მდგომარეობაა ჰამბურგსა და ბრემენში, სადაც გაფიცვა გრძელდება.

ეროვნული ყრილობის თავმჯდომარე ფერენბახმა დეპეშით აცნობა პარლამენტის წევრთ, რომ საზავო არავითარი ხელმოწერა არ იქნება და წინადადება მისცა მათ ბერლინში წასასვლელად მოემზადონ.

პარიზში გაიწვიეს პროფესორი [illegible], როგორც ელზას-ლოთარინგიის საკითხების ექსპერტი.

გერმანულ ავსტრიასთან საგარეო ურთიერთობის აღსადგენად ვენაში [illegible] დეპუტაცია ჩამოვიდა.

მიუნხენში მთავრობის ჯარი შევიდა. ქუჩებში მკაცრი ბრძოლა გაიმართა, რის შემდეგაც ქალაქი სპარტაკელებისაგან გასწმინდეს. ბრძოლის ხელმძღვანელს გენ. ფონ-ოვენს ნოსკემ მადლობა გამოუცხადა.

უკანასკნელ ხანამდე მიუნხენში 5000-ზე მეტი კაცი დააპატიმრეს. სპარტაკელების ბელადი ეგელჰოფერი სასამართლოს დადგენილებით დახვრიტეს. ტოლერი ქუჩაში მოჰკლეს ბრძოლის დროს. ლევინე მეგობრებით გაიქცა. დახოცილ მძევლებს შორის ვერ იპოვეს [illegible] და პროფესორ [illegible] გვამები. მხატვრები [illegible] და მერგვერი ორივე მოკლულან.

ბერლინის დამოუკიდებელ სოც.-დემოკრატების ორგანო „ფრეიე ცაიტუნგ" კიცხავს მიუნხენის სპარტაკელთა ტერორისტულ აქტებს.

პრუსიის პარლამენტი ორშაბათს, მაისის 12 გაიხსნება.

გერმანულ-ავსტრიის ბერლინელი ელჩი პროფესორი ლუდო გარტმანი ვენაში წავიდა.

გრაფმა რანცაუმ ვერსალში „ბერლინერ ტაგებლატ"-ის კორესპონდენტს შემდეგი განუცხადა: „ზოგი მე მაბრალებს ვითომ ხელს ვუწყობდე მოკავშირეთა შორის უთანხმოების გაღრმავებას. ნამდვილად მე არ მეგონია. მე მინდოდა მხოლოდ ჩემი სამშობლოს სამსახური, თანახმად ჩემი რწმენისა და მე არას დროს არ მიფიქრია შევსარგებლო მოკავშირეთა უთანხმოებით. მოკავშირეთა სრულ გათიშვაზე ვერავინ იოცნებებს, რადგან შეთანხმების სახელმწიფოებს ეკონომიური საკითხები უფრო აკავშირებს ურთიერთთან, ვიდრე პოლიტიკური.

ზემო სილეზიაში გაფიცვა დასრულდა, მუშაობა ყველა მაღაროებში განახლდა.

მთავარი მინისტრ-პრეზიდენტს ორშაბათს დილით ბერლინში მოელიან.

ბალშევიკების რუსეთი.

მოსკოვი, მაისის 6. ოდესა, მაისის 5. გემი „ბათუმი", რომელზედაც [illegible] და 50,000 ფ. სამხედრო [illegible] დატვირთული და რომელიც დენიკინის ჯარის დასახმარებლად იგზავნებოდა, ბალშევიკებს ჩაუვარდათ. ფიქრობენ, რომ ის მეზღვაურებმა გაიტაცეს. ნაუენი, მაისის 4. გაზეთები აცნობებენ, რომ გერმანიის ეკონომიურად ახლოს შეთანხმება ახალ ნიშნავს, რომ საფრანგეთი ცდილობს გერმანიასთან ახალი ეკონომიური ომი დაიწყოს და ამ ომში ნეიტრალური ქვეყნებიც ჩაითრიოს. შვეიცარიის პრესა აცხადებს იმის გამო, რომ საფრანგეთი შვეიცარიის ეკონომიური ცხოვრების ხელში ჩაგდებას ცდილობს. გერმანიის გაზეთები ფიქრობენ, რომ თუ მოკავშირეებმა ხელშეკრულების პუნქტების გადახედვა არ მოისურვეს, მაშინ გერმანია იძულებული იქნება ხელშეკრულებას ხელი არ მოაწეროს. ბუდაპეშტი. მაის. 5. რუმინიის შტაბი იუწყება: სოლნოკთან მომხდარი ბრძოლის შემდეგ ქალაქი რუმინელების ხელში გადავიდა. მაგრამ არის ნამდვილი ცნობები, რომ სოლნოკს უნგრეთის ჯარი შემოერტყა მდ. ტისის აქეთ ნაპირს რუმინიის ჯარი არ არის. ლიონი. მაისის 5. რუმინიის მთავრობა მოხსენებაში იუწყება: ტისის მარჯვენა ნაპირზე რუმინიის ჯარმა მოწინააღმდეგე დაამარცხა, წამოიყვანა 800 ტყვე და რამდენიმე ზარბაზანი ხელში ჩაიგდო. ლიონი. მაის. 5. კონფერენციის ხელშეკრულების მთავარი პირობები სხვადასხვა სახელმწიფოების პოლიტიკურ მოღვაწეებს აცნობეს. უკანასკნელი ხმების შემდეგ მომავალ კვირაში, როდესაც გერმანიის დელეგატები მიიღებენ ხელშეკრულების ტექსტს. ლიონი. მაის. 6. (ავსტრალიული რადიო) იაპონიის დელეგაციამ შანდუნის საკითხის შესახებ განმარტება გამოაქვეყნა, სადაც ნათქვამია, რომ იაპონია აძლევს ჩინეთს შანდუნის ნახევარ კუნძულს და თვით იტოვებს ეკონომიურ უპირატესობას, რომელიც გერმანიის მოიჯარეებს შეადგენდა წინათ. იაპონიასა და ჩინეთის მოსაზღვრე ადგილებში იაპონიის მილიცია იქნება. შანდუნის ნახევარ კუნძულზე პოლიციას ჩინელები შეადგენენ იაპონელ ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით. ბუდაპეშტი, მაისის 5. ვენაში უნგრეთის საელჩოს შენობას თავს დაესხნენ უნგრეთის კონტრ-რევოლუციონერები, განსაკუთრებით ოფიცრები პოლკოვნიკ [illegible] ხელმძღვანელობით. თავდამსხმელებმა გაიტაცეს 150 მილიონი კრონი. ფულის წაღებით ხელმწიფოს ხაზინართეულს (დამახინჯებულია) [illegible] კომისარმა. სამარა, მაის. 5. გუშინ სერგიევსკი დავიჭირეთ. ბუგურუსლანთან მთელი რკინის გზა ჩვენს ხელშია. [illegible] საბჭოთა პოლკი ჩვენ დაგვხვდა და საერთო კრებაზე გადასწყვიტა „ლენინის პოლკი" დაირქვას და კოლჩაკის წინააღმდეგ საბრძოლველად წავიდეს. სამარა, მაისის 5. გუშინ დილის 9 საათზე, სამი დღის ბრძოლის შემდეგ, ჩვენ ქ. ბუგურუსლანი და სადგური დავიჭირეთ. სოფ. კუზმინსკთან ბრძოლის დროს ჩვენ დაგვნებდა 1000 კაცი 11 ტყვიამფრქვევით და სამი ზარბაზნით. სარატოვთან ჩვენმა ჯარმა ტყვეთ წამოიყვანა 1550 კაცი. ბუგურუსლანის დასავლეთით ჩვენმა ჯარმა მოწინააღმდეგე დაამარცხა და გადალახა მდ. სოკი და 4 სოფელი დაიჭირა. სტერლიტამაკთან მოწინააღმდეგე ჩვენი ჯარის შეტევას სცადა, მაგრამ მოიგერიეს. სტერლიტამაკ-კრასნოუფიმსკთან მოწინააღმდეგე ძლიერ დამარცხებულ და ბოგოროდსკოე და სხვა სოფლები დავიჭირეთ. ნიკოლაევსკის მაზრაში ჩვენ უზუსი და კრასნო-იარი დავიჭირეთ. ნაუენი, მაისის 5. ტიროლის ქრისტიანთა სოც. პარტიამ წინადადება მისცა ტიროლის ეროვნულ ყრილობას ტიროლის დამოუკიდებლობა გამოაცხადოს. კიევი, მაისის 3. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარის ცნობები მიუვიდა, რომ საქართველოს მთავრობამ აფხაზეთის შინაურ საქმეებში სრული ავტონომია მისცა, გარშავა, მაისის 4. შეერთებულ შტატების ირლანდიელთა წარმომადგენლებმა გაზეთის ვილსონს [illegible] ჩაიბარა რეზოლუციები. სამაგიერო სიტყვაში ვილსონმა უთხრა, რომ ირლანდიელთა მოთხოვნების შესრულება სამშვიდობო კონფერენციაზე დიდათ ძნელია. ნაუენი, მაისის 5. მიუნხენში, ბერლინში მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს სხდომაზე კომუნისტებმა წინადადება შეიტანეს, ხოლო შეიდემანის ბიდან შეთანხმების გამოცხადებამდის. წინადადება ხმის უმრავლესობით გაუვიდა. სოციალდემოკრატებმა პროტესტის ნიშნათ დასტოვეს. ნაუენი. მაისის 6. მიუნხენი საბოლოოთ მთავრობის ჯარმა დაიჭირა. მთელი ქალაქის განაპირა ადგილებში კომუნისტები კიდევ განაგრძობენ წინააღმდეგობის გაწევას. სწორდებიან ხშირად, ძარცვავენ იარაღს. დაიწყეს სამალავ მილიციის შეიარაღება. ქუჩაში ბრძოლის დროს მოკლულია 159, დაჭრილია 900. ქალაქში შესულ ჯარს მცხოვრებლები სიხარულით ეგებებიან. შვაბინგის რაიონში მცხოვრებლები გვიმტკიცებენ, რომ ამ დაპატიმრებას გადაურჩნენ. მიუნხენში 5000-ზე მეტი კაცი დააპატიმრეს. კომუნისტი ეგელჰოფერი დახვრიტეს, ტოლერი მოკლეს ქუჩაში ბრძოლის დროს. ლევინე, რომელიც მიუნხენიდან აეროპლანით გაფრინდა, [illegible] დაეშვა და იქ მთავრობის ჯარს დანებდა.

მთავრობაში

29 აპრილს მთავრობამ დაადგინა:

კანონ-პროექტი სახელმწიფო რკინის გზებზე მოსამსახურეთათვის ჯამაგირების მომატების შესახებ მოწონებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას განსახილველად.

— შრომის ხელშეკრულების კანონ-პროექტი მოწონებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

— გადაიდოს სამხედრო ფონდიდან 100,000 მანეთი [illegible] ხიდის შესაკეთებლად.

— სამინისტროების დებულების შედგენა დაევალოს იუსტიციის მინისტრს.

— 1) სატფილისო თავმჯდომარის მიერ შედგენილი პროექტი ყოფილ კადეტთა კორპუსის შენობაში რესპუბლიკის სამინისტროების მოთავსებისა, მთავრობის დამტკიცებით, დამტკიცებულ იქნას.

2) ყოფილ კადეტთა კორპუსი გადაკეთდეს და მასში მოთავსდეს: მთავრობის თავმჯდომარის კაბინეტი და პარადი კანცელარია, მთავრობის საქმეთა სამმართველო, შინაგან საქმეთა, სახალხო განათლების, სამხედრო, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის, მიწათ-მოქმედების და შრომის სამინისტროები, სახელმწიფო კონტროლი და დარჩეს ერთი ბინა შენობის მეთვალყურეთათვის. აგრეთვე ამ შენობაში მოთავსდეს, თუ ეს შესაძლებელი იქნება, გზათა დეპარტამენტი.

3) ეხლავე განთავისუფლებულ იქნას ეს შენობა იქ მოთავსებულ დაწესებულებათაგან, მე-7 გიმნაზიის, კოოპერატივების, სახელმწიფო ქურჭლის და კერძო ბინებისაგან.

4) გადაიდოს სატფილისო თავმჯდომარის განკარგულებაში 500,000 მანეთი ათ-მილიონიან ფონდიდან ყოფილ კადეტთა კორპუსის შენობის აღნიშნულ მიზნისათვის გადასაკეთებლად.

5) დაევალოს სატფილისო თავმჯდომარეს წარმოუდგინოს მთავრობას დასამტკიცებლად მუშაობის ორგანიზაციის პროექტი და დაწვრილებითი ხარჯთ-აღ-

6) ყოფილ კადეტთა კორპუსის შენობის გადაკეთების კომისიაში მთავრობის წარმომადგენლად დაინიშნოს შრომის მინისტრის ამხანაგი გ. ვ. ერაძე.

8 მაისის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა:

რესპუბლიკის საგანგებო სასამართლოს დებულების პირველი მუხლის შენიშვნის თანახმად, თფილისის საგანგებო სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგად დაინიშნონ თფილისის საოლქო სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგები: მელქისედეკ კანდელაკი, გიორგი შალიკაშვილი, ვლადიმერ გაჩნაძე, თომა სოლოღაშვილი და გიორგი ნაცვლიშვილი, რომლებიც დატოვებულ იქნენ თფილისის საოლქო სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგის მოვალეობის ასრულებაზე.

— გადაიდოს ათ-მილიონიან ფონდიდან, ხარჯთ-აღრიცხვის ანგარიშში, 80,000 მანეთი, გაგრის კლიმატიური სადგურის მუშების ჯამაგირებით დასაკმაყოფილებლათ.

— მელიტონ წერეთელი გადაყენებულ იქნას სამსახურიდან და მის მოქმედების შესახებ დაინიშნოს გამოძიება.

— განმარტებულ იქნას, რომ სასულიერო სემინარიისა და სასულიერო სასწავლებლის შენობები შეადგენენ სახელმწიფოს ქონებას.

ახალი ამბები

გაფიცვა აზერბაიჯანში. 6 მაისს დილის 6 საათზე თფილისიდან ბაქოსაკენ გასული სამგზავრო მატარებელი სადგურ ხოლოდილიდან უკან დააბრუნეს, სალამოს თფილისის სადგურზე მყოფ მგზავრებს ბილეთებს, მაგრამ ხალხს აფრთხილებდნენ,—შესაძლებელია ისინი სადგურ სოლოდილიდან უკანვე დაბრუნდნენ. მიზეზი გამოირკვა, რომ აზერბაიჯანის გზაზე პროფესიის მუშებმა საერთო გაფიცვა გამოაცხადეს. გაფიცვის მიზეზია—კოლლექტიური ხელშეკრულების წესდების დაუკმაყოფილებლობა და ინგლისელების მოთხოვნილება, რომ ნავთი ბაქოდან ასტრახანში არ ეზიდებოდეთ.

◆ სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამ დღეს ხანს ერთად არსებული საბუნებისმეტყველო-სამათემატიკო ფაკულტეტი ბუნებრივი ზრდა-განვითარების გამო ორ დამოუკიდებელ ფაკულტეტად გაიყო: სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტად და სამკურნალო ფაკულტეტად. არჩეულ იქმნენ ახალი დეკანები და მდივნები. სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტზე დეკანათ არჩეულ იქნენ: ი. ჯავახიშვილი; მდივნათ აკ. შანიძე. მიმდინარე წლიდან სამკურნალო ფაკულტეტზე მესამე კურსი იხსნება, ხოლო სამათემატიკო-საბუნებისმეტყველოზე—სამეურნეო განყოფილება. უნივერსიტეტში პროფესორად მოწვეულნი არიან: აკადემიკოსი [illegible] (მეტეორიკის კათედრაზე), ოდესის უნივერსიტეტის პრ. დოც. იასონ [illegible] (ქიმიის კათედრაზე მეორე პროფესორად), ოდესის პოლიტექნიკუმის დოცენტი [illegible] (ფიზიკის კათედრაზე). რუსეთიდან რამდენიმე [illegible] გამოწვეულნი არიან უნივერსიტეტში პროფესორად არჩეული მეცნიერები.

◆ მიწად მოქმედების სამინისტრომ წინადადება მისცა ქუთაისის გუბერნიის საერობო ერობათა გამგეობებს, რომ სასოფლო კომისიის მიერ გამოწვეული კანდიდატები პრაქტიკანტებისათვის 9 მაისისათვის გამოეგზავნათ ქუთაისში, საერობო ერობის გამგეობაში. აქ მათ გააცნობენ 28 თებერვლის კანონს, მისცემენ სათანადო ინსტრუქციას და დაგზავნიან რაიონებში აგრარულ რეფორმის ცხოვრებაში გასატარებლად.

◆ მასწავლებელთა მომზადება. განათლების სამინისტროს განზრახული აქვს მიიღოს დაწყებითი სასწავლებლებში საყოველთაო სავალდებულო სწავლის შემოღება, ამიტომ სამინისტრომ წინადადება მისცა საოლქო სემინარიებს წარმოადგინონ ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი პარალელური განყოფილების გახსნა საჭიროა მასწავლებელთა მოსამზადებლად.

◆ საშუალო სასწავლებელთა მთავარ [illegible] გიმნაზიის დირექტორი დაინიშნა.

◆ მკვლელობა. 6 მაისს, დილის ხუთ საათზე, სასტუმრო „ბრისტოლში", გაისმა სროლის ხმა. სროლის ხმაზე მისულმა მილიციონერმა ვნახა წაართვა რევოლვერი მსროლელს და მისი კომისარიატში წაიყვანა. საქმეში ჩაერია ერთი ოფიცერი, რომელმაც თავისი თავი განსაკუთრებული რაზმის წევრათ გამოაცხადა და განაცხადა, რომ იგი თითონ წაიყვანს მას რაზმში. ამ დროს დატუსაღებულმა უცნობმა წაართვა რევოლვერი მილიციონერს და მოკლა იქ მდგომი მილიციონერი ბარდიაშვილი. მკვლელი აღმოჩნდა ქუთაისის ქალაქის მილიციონერი ალ. [illegible].

◆ ქურდობა. 6 მაისს ღამით თფილისის საერობო ერობის საწყობიდან (ალექსანდროვის ბაღში), [illegible] მოიპარეს 7,300 მანეთის ღირებული სხვადასხვა ნივთები.

◆ ძარცვა. 6 მაისს საღამოს მოსკოვის ქუჩაზე მიმავალ ლ. ჯაფარიძეს და ტ. ტაბიძეს თავს დაესხნენ მძარცველები. ჯაფარიძეს წაართვეს ოქროს საათი, 950 მანეთი ფულად და გაზაფხულის პალტო.

◆ თვითმკვლელობა. 6 მაისს, ვორონცოვის ქუჩა, № 6, დილის 2 საათზე, ვლადიმერ ჯაფარიძემ, 15 წლისამ, რევოლვერით თავი მოიკლა.

◆ მეოთხე რაიონული კოლექტივი თავის წევრთა საყურადღებოთ აცხადებს, რომ იმ წევრთა გარიცხვის ვადა, რომლებსაც მიმდინარე წელში არ განუახლებიათ წევრობა საწევროს შეტანით მათი გარიცხვა 5 მაისის ნაცვლად, მოხდება 20 მაისს. კოლექტივი ერთხელ კიდევ მოაგონებს და სთხოვს ამ ხნის განმავლობაში განაცხადონ წევრობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი გარიცხულ იქნებიან პარტიიდან და მათი სახელი და გვარი გამოცხადებული იქნება პარტიულ ორგანოებში.

კრებები.

დღეს, საღამოს 6 საათზე ბიუროს ბინაზე შედგება საქართველოს ს. დ. მ. პ. მეორე რაიონული კოლექტივის წევრთა მორიგი კრება.

— დღეს, 8 მაისს საღამოს 5 საათზე დანიშნულია მე-6 რაიონის კოლექტივის მორიგი კრება.

— ხუთშაბათს, საღ. 6 საათზე ბიუროს ბინაზე დანიშნულია მეოთხე რაიონული კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა.

ბიბლიოგრაფიული შენიშვნები

ილია ფერაძე. საქართველოს ისტორია. 1918 წ. 351 გვ.

I

ერთი უდიდესი საკითხთაგანი, რომელიც დაკავშირებულია ჩვენი სკოლების გაეროვნებასთან, არის საკითხი სახელმძღვანელოების შესახებ. კარგ სახელმძღვანელოზე დამყარებული სწავლა-განათლება, კარგი და მომზადებული მასწავლებლობა, კარგი, თანამედროვე მეცნიერებასთან შეფარდებული სახელმძღვანელოები—აი ის მტკიცე საფუძველი, რომელზედაც უნდა აშენდეს ჩვენი მომავალი გაეროვნებული სკოლა. ამ მხრით ჩვენი განათლების სამინისტროს დიდი მუშაობა დასჭირდება, დიდი ენერგიული ზრუნვა, რომ ძველი წესწყობილების ნაშთები ჩვენში არსებული სკოლები განახლდნენ, გაეროვნებულ საცხოვრებო პირობებს შეეფარდონ.

ამ უდიდეს სახელმწიფოებრივ საკითხში შედარებით უფრო ადვილი მისაგვარებელია სახელმძღვანელოების საკითხი. მაგრამ სამწუხაროთ ამ დარგში დღევანდელამდე ძალიან ცოტაა გაკეთებული. კარგი სახელმძღვანელოებით ჩვენ ერთობ ღარიბი ვართ, მიუხედავად იმისა, რომ სკოლების გაეროვნება სწარმოებს თითქმის სამი წელიწადია. ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს ისტორიის სახელმძღვანელოები. ჩვენ გვეგულება ყველა არსებულ ისტორიის სახელმძღვანელოებს, როგორც მსოფლიო, ისე საქართველოს ისტორიისას, და უნდა გულახდილად ვაღიაროთ, რომ არც ერთი მათგანი (ერთის გამოკლებით, რომელსაც ქვევით მოვიხსენიებთ), ჩვენი შეხედულობით, არ შეეფერება თავის დანიშნულებას, როგორც საშუალო სკოლის სახელმძღვანელო.

თუ ამ მხრით მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოების საქმე შედარებით უფრო ბედნიერ მდგომარეობაშია, რადგან შეიძლება პირდაპირ თარგმნა უცხო ენიდან არსებული საუკეთესო სახელმძღვანელოებისა,—საქართველოს ისტორიის შესწავლა ჩვენ მოზარდ თაობისათვის თითქმის შეუძლებელია, აქ საქმე უფრო გართულებულია ცოტათი თუ მეტად კარგ სახელმძღვანელოების უქონლობის გამო. საქმე იმაშია, რომ სკოლების გაეროვნებასთან და საზოგადოთ ჩვენ დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ არსებობასთან ერთად საქართველოს ისტორიის შესწავლამ ჩვენს სკოლებში უფრო სერიოზული, ფართო, ყოველმხრივი ხასიათი მიიღო. ამ საგნის შესწავლა უნდა სწარმოებდეს ისე, როგორც წინეთ რუსეთის ისტორიის შესწავლა იყო დაყენებული, ე. ი. საქართველოს ისტორია უნდა ისწავლებოდეს უფრო დაწვრილებით, ის უნდა შეიქმნეს ძირითადი საგანი, როგორც საშუალო, ისე დაბალ და უმაღლეს სკოლებისათვის.

საქართველოს ისტორიის ჩვენი სკოლებისათვის ასეთ მნიშვნელობასთან ერთად მატულობს აგრეთვე ჩვენი მოთხოვნილება შესაფერი სახელმძღვანელოების შემუშავებისადმი. ამ მხრით ჩვენ პირდაპირ უწყლო მდგომარეობაში ვიმყოფებით. ზემოთ დასახელებული ბ-ნ ილია ფერაძის „საქართველოს ისტორია" არის ცდა ამ დიდი ნაკლის შევსებისა. მაგრამ, სანამ ამ სახელმძღვანელოს და სხვებსაც შევეხებოდეთ, ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია ორიოდე სიტყვით გამოვთქვათ ზოგადათ ჩვენი შეხედულება, თუ როგორი უნდა იყოს სახელმძღვანელო ჩვენს, განსაკუთრებით, საშუალო სკოლაში საჭიროებული ისტორიის სახელმძღვანელო, რა მიზნებს უნდა ისახავდეს მისი შემადგენელი, რომ ის ეთანხმებოდეს თანამედროვე დონეზე მყოფ ისტორიულ მეცნიერებას და მის მოთხოვნილებას, რომ ჩვენმა სკოლამ აღზარდოს შეგნებული ისტორიული ცოდნით აღჭურვილი ახალგაზრდობა.

სახელმძღვანელოს ავ-კარგიანობის საკითხი მჭიდროთ არის დაკავშირებული საგნის სწავლა-გადაცემის მეთოდებთან. ეს უკანასკნელი კი დაკავშირებულია საზოგადოთ შესაფერი მეცნიერების ამა თუ იმ მდგომარეობასთან, მის ჩამოყალიბება განვითარებასთან. ამგვარ უნდა შევხედოთ ჩვენ ისტორიის სახელმძღვანელოებსაც.

საბედნიეროთ წავიდა ის დრო, როდესაც ისტორიას ჰქონდა ხასიათი ზღაპრის, უბრალო მოთხრობის. თანამედროვე ისტორიული მეცნიერება უკვე იმდენად განვითარებულია, რომ მას აღარ სწამს ისტორიაში სასწაულები, ბუნებრივი მოვლენები, ის აღარ უყურებს საზოგადოების განვითარებას, როგორც ფაქტთა უბრალო გროვას, ამბების „მოთხრობას", როგორც ლიდერ-გენიოს ადამიანების, ისტორიული გმირების მოღვაწეობის ნაყოფს. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც ისტორია იყო პიროვნებათა კაპრიზების ისტორია, როდესაც უბრალო, სრულიად უმნიშვნელო შემთხვევითი ფაქტს აძლევდნენ გადამწყვეტ მნიშვნელობას მთელ ხალხთა ბედის გადაწყვეტაში. „კლეოპატრას რომ ცხვირი უფრო მოკლე ჰქონოდა, მთელი ისტორია სხვანაირი მსვლელობას მიიღებდა", ან და „ბოროდინოსთან ბრძოლაში ნაპოლეონს რომ სურდო არ დამართოდა, ევროპის ხალხთა ბედი სხვაგვარი იქნებოდა", აი გამოთქმები, რომლებიც ახასიათებენ ძველ შეხედულებას ისტორიაზე.

თანამედროვე ისტორიული მეცნიერება სწავლობს საზოგადოებრივ განვითარებას, არა როგორც უბრალო მოთხრობას, როგორც ამბავთა და ფაქტთა მექანიკური გროვა, როგორც ერთმანეთთან დაუკავშირებელი ეპიზოდები და წარჩინებულ პიროვნებათა ბიოგრაფიები, არამედ როგორც პროცესი, სადაც ადგილი აქვს ფაქტთა თანმიმდევრობას, მიზეზობრივ კავშირს, ერთგვარ მიზეზობრიობას და კანონზომიერებას. მისთვის მჭიდროთ არის დაკავშირებული ერთიმეორესთან მოვლენები—ეკონომიური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული. აქ მოვლენობა დაცული, ერთი ფაქტი უშუალოთ აიხსნება მეორით. თანამედროვე ისტორიული მეცნიერება ამ პროცესს იკვლევს სხვადასხვა საზოგადოებრივ მოვლენათა შორის კავშირს და მიზეზობრიობას ეძებს, პიროვნებებს თავის შესაფერ როლსა და მნიშვნელობას აკუთვნებს. ამით ისტორია ჰკარგავს უწინდელ მოთხრობის, აღწერითს ხასიათს და მეცნიერულ დონეზე ადის. ასეთია თანამედროვე ისტორია, როგორც მეცნიერული დისციპლინა.

რასაკვირველია, ისტორიას, როგორც მეცნიერული დარგის, ხასიათის ასეთ შეცვლასთან ერთად უნდა შეიცვალოს თვით შესწავლა ამ საგნისა ჩვენს განათლებულ სკოლებში, უნდა შეიცვალოს გადაცემის მთელი მეთოდი, მთელი შინაარსი გადაცემულ ისტორიის კურსისა. ამ უკანასკნელთან კი მჭიდროთ დაკავშირებულია ისტორიის სახელმძღვანელოს ხასიათი, მეთოდი, მთელი შინაარსი, მისი ავ-კარგიანობა, ის უნდა აკმაყოფილებდეს ისტორიის სწავლების გარდაქმნილ მოთხოვნილებებს.

როგორი უნდა იყოს ისტორიის კურსის შინაარსი? პასუხი ამ კითხვაზე თავის თავად გამომდინარეობს ზემოთ ნათქვამიდან, ჩვენ მიერ ისტორიულ მეცნიერების თანამედროვე ხასიათის გარკვევიდან. აბა, ჩვენი განათლებულ სკოლისთვის, მეტადრე ხელოსნური საკითხის შესახებ ჩვენს მოსაზრებებს ჩვენ თავს ნებას ვაძლევთ ვიმოწმოთ ცნობილი პეტერბურგელი რუსი პედაგოგის ნ. ვ. პოკოტილოვის, რომლის შრომა „Практическое руководство для начинающаго преподавателя исторiи" ჩვენ მიგვაჩნია დიდ შენაძენად თანამედროვე პედაგოგიურ ლიტერატურაში. ბ-ნი პოკოტილოვი ამბობს:

„ის დრო, როდესაც ისტორიას უცქეროდნენ, როგორც მეხსიერების ვარჯიშობას, როდესაც მთელი სწავლება სკოლაში მდგომარეობდა იმაში, რომ მოწაფეთათვის შეეთვისებინათ რაც შეიძლება მეტი რიცხვი სახელების, ციფრების, წლების და სხვა, საბედნიეროთ წავიდა. ახლა უფროს კლასების ისტორიის კურსს უყენებენ სულ სხვა მოთხოვნილებებს. ჩვენ უნდა მივაწოდოთ მოწაფეებს არა რიგი ცალკე ფაქტებისა, თავის შესაქცევი მოთხრობებისა და ხასიათის რიცხვი ბიოგრაფიებისა, არამედ უნდა ვაჩვენოთ საზოგადოების განვითარების მსვლელობა, უნდა გავუხსნათ, როგორ წარმოიშვა ჩვენი თანამედროვე ქვეყანა თავის დაწესებულებებით, ცოდნებით, იდეებით, სადაც აღმოცენდა უფრო ეს, რანაირი ევოლუციის გზით; სხვანაირად რომ ვთქვათ, უნდა დავასურათოთ თვით მსვლელობა ისტორიული პროცესისა, უნდა ვუჩვენოთ ამ პროცესში კერძო პიროვნების როლის მნიშვნელობა, ცალკე ქვეყნებისა და ხალხების ისტორია კი უნდა წარმოადგენდეს ილუსტრაციას ამ ზოგად დებულებებისათვის. ჩვენ მოწაფეებს არ უნდა მივაწოდოთ ნაწილობრივი ფაქტები, არ უნდა ავაცვათ ისინი ერთი მეორეზე, არამედ ნამდვილად უნდა გვქონდეს საერთო ისტორიული პროცესი. რაც შეეხება ფაქტიურ და ბიოგრაფიულ მასალას, რომელსაც საშუალო სკოლაში, რასაკვირველია, გვერდს ვერ აუვლით, მან უნდა დაიკავოს შესაფერი ადგილი და უნდა წარმოადგენდეს სწავლების არა მიზანს, არამედ მხოლოდ საშუალებას ისტორიული პროცესის ასახსნელად." (გვ. 10—11)

ბ-ნ პოკოტილოვის ეს მშვენიერი და ჭეშმარიტი მეთოდიური მოსაზრებანი გამომდინარეობს იმ თვისებიდან, რომელიც დღეს აქვს თანამედროვე ისტორიულ მეცნიერებას. აქედან, რასაკვირველია, ის დასკვნა კი არ უნდა გამოვიყვანოთ, რომ საშუალო სკოლის ისტორიის კურსი უნდა შესდგებოდეს მხოლოდ მშრალი დებულებებისა, ზოგადი დასკვნებისა და სქემებისაგან. პირიქით, ეს იქნებოდა ერთობ მოსაწყენი მოწაფეთათვის და მათ ცოცხალ გონებას ცოდნის შეძენის სურვილს დაუკარგავდა. ფაქტიური და ბიოგრაფიული მასალა ისე უნდა იყოს განაწილებული და დაწყობილი შესასწავლ კურსში, რომ ყოველ ფაქტს, ყოველ გმირს არ ჰქონდეს დამოუკიდებელი, თვითმიზნობის ხასიათი, არამედ თავისი ადგილი ეჭიროს, ილუსტრაციის

პროვინციის ქრონიკა.

ლეჩხუმის მაზრის ერობის სტატისტიკური ცნობით ზუბისა და ოყურეშის საზოგადოებებში 15 აპრილამდე ავადმყოფთა რაოდენობა ასეთი იყო: ზარტაბიანი სახადით 83 სული, ფილტვების ანთებით 9, მუცლის სახადით 6, მალარიით 4, ჭლექით 8, კუჭის ტკივილით 6, ანთებით 5, ცივებით 1, ყვავილით 2, ესპანური ავადმყოფობით 6, ნერვებით 7.

პირველი მაისი პროვინციაში

ქ. დუშეთი. დილიდანვე ს.-დ. ბიუროში შეიკრიბნენ ამხანაგები, მათ შეუერთდა მახლობელ სოფლებიდან ჩამოსული გლეხკაცობა და წითელი გვარდიის რაზმი სახალხო შტაბის მეთაურობით. უფროსის ზედა ხალხი წითელი დროშებით და რევოლიუციონური სიმღერებით სადემონსტრაციოთ გამოვიდა ქალაქში. გზადაგზა რიცხვი თანდათან იზრდებოდა და მიტინგის გახსნის სადღესასწაულოთ შეკრებილი ხალხი დუშეთისათვის არაჩვეულებრივ სურათს წარმოადგენდა.

პირველი მაისის მნიშვნელობაზე შესაფერი სიტყვები წარმოსთქვეს ჩვენმა ამხანაგებმა და აგრეთვე ს.-ფ. წარმომადგენლებმა.

დღის ორ საათზე მიტინგი დაიშალა. საღამოს ხალხი სამხედრო კლუბის დარბაზში შეიკრიბა. აქ ამხ. ი. ფურუშიძემ სიტყვა წარმოსთქვა პირველ მაისზე, რის შემდეგაც ს.-დ. კლუბთან ახლად დაარსებული სცენის მოყვარეთა წრემ გ. ცეცხლაძის ხელმძღვანელობით გამართა წარმოდგენა. წარმოადგინეს „ჩიგროვული იმედი“. პიესა მწყობრათ ჩატარდა. შემდეგ გაიმართა დივერტისმენტი. დიდათ ნასიამოვნები საზოგადოება ღამის 1 საათზე დაიშალა.

პ. მ—ძე

დ. ჩოხატაური. დილას მოიწვია აუარებელი ხალხი, მიტინგის შემდეგ, სადაც პირველ მაისის მნიშვნელობაზე ილაპარაკა ა. ცინცაძემ, გაიმართა დიდი დემონსტრაცია; არჩილ წითლიძემ მასწავლებლის შემდეგ ქართველ ხალხს წერილი ერთგულების გამოკვრის შესახებ. ამის შემდეგ თეატრის დარბაზში გაიმართა სოც.-დემ. რაიონული კრება. მოხდა არჩევნები რაიონული კოლექტივისა და წარმომადგენლების სამაზრო კომიტეტში. სამაზრო კომიტეტში ერთხმად არჩეულ იქმნა ამხანაგი ცინცაძე და გრიგოლ მეგრელიშვილი. 9 საათზე თეატრში გაიმართა საღამო, რომლის შემოსავალი გადაეცა გვარდიის სასარგებლოდ.

დამსწრე.

ახალსენაკი. დილის ათ საათზე სოც.-დემ. ბიუროს წინ გამოცხადდა მუსიკა და მოწაფეთა გუნდი—აგრეთვე ორგანიზაციების წარმომადგენლები და მოქალაქეთა საკმაო რიცხვი. თერთმეტ საათზე პროცესია დაიძრა. წინ მიუძღოდა ავტომობილი წითელი დროშებით და ყვავილებით. ავტომობილზე ისხდნენ რკინის გზის და სოფლის მუშები, რომლებსაც ეჭირათ მარქსის სურათი ყვავილებით მორთული. მას მიყვებოდა მუსიკა, მოწაფეთა გუნდი, ორგანიზაციების წარმომადგენლები და საზოგადოება. სობოროს გალავანში გაიმართა მიტინგი, რომელიც გახსნა კომიტეტის წევრმა ამხ. მაშა ნოღაიამ. მაზრის სოც. დემოკრატიული კომიტეტის სახელით ილაპარაკა ამხ. ანდრო აბჯანდაძემ. სოც. დემ. კოლექტივის სახელით რიგდენი გამოვიდა. ილაპარაკეს სხვა პარტიების წარმომადგენლებმაც. მიტინგის შემდეგ ყვავილებით მორთული ავტომობილი ამხანაგებით გაემართა ძვ. სენაკში და ნოქალაქევში, სადაც ორ საათზე მიტინგი იყო დანიშნული. ხუთ საათზე, საღამოს, ქალაქის ბაღში გაიმართა უფასო სახალხო სეირნობა. დაუკრა მუსიკამ და იმღერა მოწაფეთა გუნდმა. იელვებოდა სამაისო ნიშნები.

პ. ი.

მოვალეობის მსხვერპლი

ერმილე მენაბდის ხსოვნას.

ამ ერთი თვის წინათ შესრულდა ერთი წელიწადი მას შემდეგ, რაც ამხ. ერმილე გმირულად დაეცა ოსმალებთან ბრძოლის დროს, ბათუმის დაცემის წინა დღეებში.

მრავალი საუკეთესო მებრძოლი შეეწირა ბათუმის დაცვისათვის ბრძოლას, რომელთა თავგანწირულება სამშობლოსა და თავისუფლების დაცვისათვის საუკუნეთ ფურცლებში დარჩება საქართველოს ისტორიაში. და ერთი ამ მებრძოლთაგანი იყო ამხ. ერმილეც.

ამხ. ერმილე იყო სოფ. ფარცხმიდან (გურია). ბათუმის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ იგი გაიწვიეს სამხედრო სამსახურში და გაატარეს სამხედრო სასწავლებელში, რომლის დასრულების შემდეგაც გაემგზავრა კავკასიის ფრონტზე პრაპორშჩიკის ხარისხით. სხვათა შორის, ის მონაწილეობას იღებდა ერზრუმის აღების დროს ბრძოლაში. ამ ბრძოლაში მონაწილეობისათვის ის ორჯერ ჩინით იქნა დაჯილდოებული და კაპიტნის ხარისხი მიიღო, მაგრამ სამაგიეროთ მძიმეთ დაიჭრა მარჯვენა ხელში და სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებულ იქნა.

როდესაც რუსეთის ჯარმა კავკასიის ფრონტი მიატოვა და ამიერ-კავკასიას ოსმალეთის დაპყრობით ემუქრებოდა, ამ დროს ამიერ-კავკასიის მთავრობის მოწოდებით, რომელმაც გამოაცხადა საკუთარი ძალებით დაცვა ფრონტისა, ამხ. ერმილე გაეწერა მოხალისეთ და როგორც გამოცდილი ხელმძღვანელი ერთ-ერთ რაზმს მეთაურობდა და მიემგზავრა ბათუმის დასაცავათ. ამხ. ერმილე სხვა მეგობრებთან, ამხანაგებთან ერთად თავგანწირულად იბრძოდა ოსმალთა ლაშქრის წინააღმდეგ და უსწორო ბრძოლაში ის დაეცა.

დაღუპულის ცხედარი ვერ ნახეს, რომ მაინც ღირსეულად დაეკრძალათ და მისი გული ცნობილიყო.

ერმილეს დაკარგვით ჩვენ დავკარგეთ სამხედრო საქმეში გამოცდილი ერთი პატიოსანი ხელმძღვანელთაგანი, რაც ასე საჭიროა დღევანდელ გართულებულ დროში. მისმა დედამ კი 25 წლის ნაზარდი შვილი. მეტად ძნელია მისთვის ეს დანაკლისი, მაგრამ მისი ნუგეში იქნება ის, რომ მან სამშობლოს და თავისუფლების დაცვისათვის გამოზარდა სახალხო მებრძოლი.

ს. ცხემლისხიდელი.

ტფილისი 1 მაისს.

